



საქართველოს ეროვნული ბანკი  
National Bank of Georgia

# მტკიცე თვის მიმოხილვა

---

2024

ინფლაცია .....	3
საბანკო სექტორი .....	5
საბარეო სექტორი .....	7
სავალუტო ბაზარი.....	11
ფულადი ბაზარი.....	14
მონეტარული აგრეგატები.....	15

“თვის მიმოხილვა“  
მომზადებულია საქართველოს ეროვნული ბანკის  
მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ


# ინფლაცია

2024 წლის თებერვალში წლიურმა ინფლაციამ 0.3% შეადგინა, ხოლო იანვართან შედარებით ფასების საერთო დონე თითქმის არ შეცვლილა.

დაბალ ინფლაციას, ერთი მხრივ, ადგილობრივი ინფლაციის კლებადი ტენდენცია განაპირობებს, რაც მკაცრი მონეტარული პოლიტიკის შედეგია. ამავდროულად, მსოფლიოში სურსათის ფასების კლების ტენდენცია მეცნილად გრძელდება. ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი მყარ პოზიციას ინარჩუნებს. ეს კი იმპორტირებული ინფლაციის დაბალ დონეზე შენარჩუნებას ხელს უწყობს.


2023 წლის ბოლოს ინფლაციის ერთერთ მთავარ რისკად წითელ ზღვაში არსებული დაძაბულობის გამო საერთაშორისო ტრანსპორტირების გაძვირება გამოიკვეთა. დაძაბულობა ამ რეგიონში კვლავ ნარჩუნდება, თუმცა დეკემბერსა და იანვარში მკვეთრი ზრდის შემდეგ, თებერვლის განმავლობაში ტრანსპორტირების ფასები ზომიერად შემცირდა. აქედან გამომდინარე, ამ მხრივ, ინფლაციაზე მოქმედი შესაძლო რისკებიც შედარებით შემცირებულია.

## თვის ინფლაცია 0.0% (მნიშვნელოვანი წვლილები)



წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები

## წლიური ინფლაცია 0.3% (მნიშვნელოვანი წვლილები)



წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები


თებერვალში იანვართან შედარებით აღსანიშნავია იმერული ყველის და ბენზინის გაიფება, რამაც ინფლაცია გააუმჯობესა 0.4 პპ-ით შეამცირა.

წლიურ ტრილში გამოსარჩევია სურსათის ფასების 4.1%-იანი კლება, რის გამოც ინფლაციამ 1.3 პპ-ით მოიკლო. აქედან ყველაზე მნიშვნელოვანი ზეთის, პურის, კარტოფილის და ყველის გაიფება იყო, თითოეულმა წლიური ინფლაცია 0.4 პპ შეამცირა. ძროხის ხორცის გაძვირებამ კი ინფლაცია 0.3 პპ-ით გაზარდა.

თებერვალში ბენზინის ფასმა ოდნავ იკლო, თუმცა გასული წლის თებერვლის ფასს 12.7%-ით გადააჭარბა და ინფლაციის ზრდაზე 0.5 პპ-ით გავლენა იქონია. სხვა პროდუქტებიდან გამოსარჩევია საბანკო მომსახურების წლიურად 26.6%-ით გაძვირება, რამაც ინფლაცია 0.4 პპ-ით გაზარდა.


საბაზო ინფლაციამ, რომელიც სამომხმარებლო კალათიდან მალალი მერყეობით გამორჩეულ სურსათის, ენერგომადარებლების და სიგარეტის ფასებს გამორიცხავს, მოიმადა და 2.4% შეადგინა. საბაზო ინფლაციის ზრდა, მეცნილად მედიკამენტების გაიფების ეფექტის ამოწურვამ და ზოგიერთი მედიკამენტის გაძვირებამ განაპირობა.

## მთლიანი და საბაზო ინფლაცია



წყარო: საქსტატი

## ჯგუფების წვლილი მთლიან ინფლაციაში





წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები

ადგილობრივად წარმოებული პროდუქტების ინფლაციის კლება გრძელდება, რაც მეცნილად სურსათის ფასების წლიურ გაიფებას და ზოგიერთ მომსახურებაზე (ბინის ქირა, სამედიცინო მომსახურება, ქალაქის ტრანსპორტი და ა.შ) საბაზო ეფექტის ამოწურვას უკავშირდება. ადგილობრივად წარმოებული პროდუქტების ინფლაცია თებერვალში 2.4%-მდე შემცირდა. გარკვეული კატეგორიის სურსათისა და ელექტროენერჯის ტარიფის წლიური გაიფება შერეულად წარმოებული პროდუქტების დეფლაციას (-3.3%) იწვევს. იმპორტირებული პროდუქტების ფასები, თითქმის ერთწლიანი დეფლაციის შემდეგ, თებერვალში წლიურად 0.2%-ით გაიზარდა და ამის მიზეზი პირველ რიგში სანავის ფასების წლიური ზრდა და საბაზო ეფექტია.

ადგილობრივ ინფლაციაში დიდი წვლილი შედარებით მაღალ მომსახურების ინფლაციას (5.3%) აქვს. მომსახურების წვლილი ადგილობრივ ინფლაციაში 2.7 პპ-ია. შესაბამისად, მომსახურების გარდა, ადგილობრივად წარმოებული პროდუქტების ფასები 0.7%-ით შემცირდა. თავის მხრივ, მომსახურების ინფლაციაში ყველაზე მაღალი წვლილი საბანკო მომსახურების გაძვირებას (1.5 პპ მომსახურების ინფლაციაში) აქვს.

იმპორტული, შირაული და ადგილობრივად წარმოებული პროდუქტების ინფლაცია და მათი წვლილები მთლიან ინფლაციაში



წყარო: საქსტატი

წყარო: საქსტატი


ინფლაცია ჯგუფების მიხედვით	2024 წლის წონები	თებ24/იან24		თებ24/თებ23	
		ინფლაცია	წვლილი	ინფლაცია	წვლილი
სულ	100.0%	0.3%	0.3%	0.0%	0.0%
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	33.4%	1.7%	0.6%	-2.4%	-0.8%
სურსათი	30.4%	1.8%	0.6%	-2.8%	-0.9%
პური და პურპროდუქტები	6.1%	0.2%	0.0%	-9.0%	-0.6%
ხორცი და ხორცპროდუქტები	6.8%	0.7%	0.0%	6.1%	0.4%
თევზი	0.4%	2.9%	0.0%	1.9%	0.0%
რძე, ყველი და კვერცხი	6.7%	1.7%	0.1%	-4.1%	-0.3%
ზეთი და ცხიმი	2.5%	2.1%	0.1%	-15.9%	-0.5%
ხილი, ყურძენი	1.6%	4.7%	0.1%	19.7%	0.3%
ბოსტნეული, ბალახეული, კარტოფილის და სხვა ბოლქვოვანების ჩათვლით	3.2%	5.9%	0.2%	-11.3%	-0.4%
შაქარი, ჯემი, თაფლი, სიროფები, შოკოლადი, საკონდიტრო ნაწარმი	2.3%	3.9%	0.1%	2.7%	0.1%
კვების სხვა პროდუქტები	0.7%	-0.9%	0.0%	-3.8%	0.0%
უალკოჰოლო სასმელები	2.9%	0.1%	0.0%	2.3%	0.1%
ალკოჰოლური სასმელები და თამბაქო	6.8%	0.7%	0.0%	3.5%	0.2%
დანსაცემელი და ფეხსაცემელი	4.0%	-1.9%	-0.1%	0.5%	0.0%
საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები	8.7%	-3.6%	-0.3%	-1.8%	-0.2%
ავეჯი, საოჯახო ნივთები და მორთულობა, სახლის მოვლა-შეკეთება	5.5%	1.4%	0.1%	-4.3%	-0.2%
ჯანმრთელობის დაცვა	9.4%	1.1%	0.1%	-3.3%	-0.3%
ტრანსპორტი	12.0%	-0.6%	-0.1%	4.3%	0.5%
კავშირგაბმულობა	3.7%	-0.1%	0.0%	-2.2%	-0.1%
დასვენება, გართობა და კულტურა	3.3%	-0.6%	0.0%	-2.4%	-0.1%
განათლება	4.6%	0.0%	0.0%	3.5%	0.2%
სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	3.3%	0.6%	0.0%	5.9%	0.2%
სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	5.2%	0.3%	0.0%	9.2%	0.4%
ხანმოკლე მოხმარების საქონელი	63.1%	0.6%	0.4%	-1.7%	-1.1%
საშუალო მოხმარების საქონელი	7.2%	-1.3%	-0.1%	-1.7%	-0.1%
ხანგრძლივი მოხმარების საქონელი	4.9%	0.8%	0.0%	-3.3%	-0.2%
მომსახურება	24.8%	0.0%	0.0%	5.5%	1.3%

წყარო: საქსტატი

# საბანკო სექტორი


იანვარში, საბანკო სექტორის სადეპოზიციო ვალდებულებები წლიურად 6.0 მლრდ ლარით გაიზარდა (თვიურად 775.0 მლნ ლარით შემცირდა) და 49.7 მლრდ ლარი შეადგინა. სადეპოზიციო ვალდებულებები წლიურად 13.8%-ით გაიზარდა, ეროვნული ვალუტის დეპოზიტების მატების გავლენით. იანვარში წინა თვესთან შედარებით, ეროვნული ვალუტის სადეპოზიციო ვალდებულებები 536.9 მლნ ლარით (2.2%-ით) გაიზარდა და 25.3 მლრდ ლარი შეადგინა. აღნიშნული ზრდა, სახელმწიფო სექტორის დეპოზიტების მატებამ გამოიწვია. რაც შეეხება უცხოური ვალუტის დეპოზიტებს, წინა თვესთან შედარებით 498.8 მლნ ლარით შემცირდა. სამთავრობო სექტორის დეპოზიტები 894.7 მლნ ლარით გაიზარდა.

## სადაპოზიციო ვალდებულებები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


## სადაპოზიციო ვალდებულებები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


იანვარში დეპოზიტების საშუალო შენონილი საპროცენტო განაკვეთები (მთავრობის გარეშე) წინა თვესთან შედარებით 0.7 პპ-ით გაიზარდა და 7.2% შეადგინა. ეროვნული ვალუტით დენომინირებულ დეპოზიტებზე საშუალო შენონილი წლიური საპროცენტო განაკვეთი უცვლელია და 8.7%-ის ნიშნულზეა, ხოლო უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთი 0.2%-მდე გაიზარდა და 1.7% შეადგინა. რეზიდენტების ლარის ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთი 0.1 პპ-ით გაიზარდა და 11.8% შეადგინა, ხოლო აშშ დოლარის ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთი 0.2 პპ-ით, 2.4%-მდე შემცირდა. ევროს ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთი წინა თვესთან შედარებით მცირედით 0.1 პპ-ით გაიზარდა და 1.5% შეადგინა.

## დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები (მთავრობის გარეშე, ნაქალი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


## რეზიდენტების ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები ვალუტების მიხედვით (ნაქალი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


უცხოური და ეროვნული ვალუტის დეპოზიტების ზრდის ცემპებიდან გამომდინარე **დეპოზიტების დოლარიზაცია 2024 წლის იანვარში, წინა თვესთან შედარებით 0.9 პპ-ით შემცირდა და 49.8% შეადგინა.** იანვრის ბოლოს, ფიზიკური პირების დეპოზიტების დოლარიზაცია თითქმის იგივე დონეზე 65.3%-ზე შენარჩუნდა, ხოლო იურიდიული პირების დეპოზიტების დოლარიზაცია, წინა თვესთან შედარებით, 0.5 პპ-ით 38.5%-მდე გაიზარდა. ფიზიკური პირების ვადიანი დეპოზიტების დოლარიზაცია იანვარში, წინა თვესთან შედარებით 0.6 პპ-ით 62.1%-მდე შემცირდა.

**დეპოზიტების დოლარიზაცია (კურსის ეფექტის გამორიცხვით)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


**ფიზიკური პირების ვალდანი დეპოზიტების დოლარიზაცია (კურსის ეფექტის გამორიცხვით)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


იანვარში, გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, სესხები წლიურად 15.9%-ით გაიზარდა. სესხების ზრდის ტემპმა წინა თვესთან შედარებით 1.2 პპ-ით მოიკლო. სესხების ზრდის ტემპის კლება უცხოური ვალუდით დაკრედიტების შენელებამ განაპირობა. კერძოდ, იანვარში, უცხოური ვალუდით დაკრედიტების ზრდის ტემპი (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით) 14.3%-მდე შემცირდა და მთლიანი სესხების ზრდაში 6.4 პპ-იანი წვლილი შეადგინა. ლარით დაკრედიტება წლიურად 17.2%-ით, 28.3 მლრდ ლარამდე გაიზარდა და მთლიანი სესხების ზრდაში 9.5 პპ-იანი წვლილი შეიტანა. უცხოური ვალუდით დაკრედიტების კლება ძირითადად ბიზნეს სესხების ზრდის ტემპის შენელებით არის განპირობებული, რომლის წვლილი მთლიანი სესხების ზრდაში 9.1 პპ-ია. იპოთეკური სესხების წვლილმა მთლიანი სესხების ზრდაში 2.0 პპ შეადგინა. სამომხმარებლო სესხების ზრდის ტემპი დაჩქარდა და მთლიან სესხების ზრდაში 4.4 პპ-იანი წვლილი შეიტანა.

**სესხების წლიური ზრდის ტემპი (კურსის ეფექტის გამორიცხვით)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**სესხები მიზნობრიობის მიხედვით (წლიური ზრდის ტემპი; კურსის ეფექტის გამორიცხვით)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

იანვარში, სესხების საშუალო შენონილი საპროცენტო განაკვეთი, წინა თვესთან შედარებით, 0.9 პპ-ით გაიზარდა და 13.9% შეადგინა. ეროვნული ვალუდით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი 0.5 პპ-ით 15.9%-მდე გაიზარდა, ხოლო უცხოური ვალუდით გაცემულ კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთი 0.4 პპ-ით 8.6%-მდე შემცირდა.

**საპროცენტო განაკვეთები იურიდიულ პირებზე გაცემულ სესხებზე (ნაპალი)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**საპროცენტო განაკვეთები იპოთეკურ სესხებზე (ნაპალი)**




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი



იანვარში, იურიდიულ პირებზე ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი 0.1 პპ-ით 12.9%-მდე შემცირდა. იპოთეკურ სესხებზე ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი კი 0.3 პპ-ით გაიზარდა და 11.6% შეადგინა. იანვარში, წინა თვესთან შედარებით, იურიდიულ პირებზე უცხოური ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი 0.7 პპ-ით 8.8%-მდე შემცირდა. უცხოური ვალუტით გაცემული იპოთეკური სესხების საპროცენტო განაკვეთები 0.1 პპ-ით 6.9%-მდე გაიზარდა.


იანვარში მთლიანი საკრედიტო პორტფელის დოლარიზაცია, წინა თვესთან შედარებით, 0.5 პპ-ით შემცირდა და 44.7%-ს გაუცოლდა. იურიდიული პირების სესხების დოლარიზაცია წინა თვესთან შედარებით 0.1 პპ-ით და 63.6%-მდე გაიზარდა, ხოლო ფიზიკური პირების სესხების დოლარიზაცია 0.5%-მდე შემცირდა და 28.4%-ზეა. იანვარში ვადაგადაცილებული სესხები წინა თვესთან შედარებით 122.1 მლნ ლარით გაიზარდა და 513.0 მლნ ლარს გაუცოლდა. ვადაგადაცილებული სესხების 44.9% ეროვნული ვალუტით არის დენომინირებული.

**დოლარიზაცია (კურსის ეფექტის გამოჩენით)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**ვადაგადაცილებული დავალიანება**




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**საბარეო სექტორი**


2024 წლის იანვარში საქონლის რეგისტრირებული საგარეო ვაჭრობის დეფიციტი წინა წელთან შედარებით 1.2%-ით გაიზარდა და 664.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. საგარეო ვაჭრობის დეფიციტის ზრდა ექსპორტის კლებას უკავშირდება. აღნიშნულ თვეში, საქონლის იმპორტმა წლიურად 10.1%-ით 1,002.7 მლნ აშშ დოლარამდე დაიკლო, ხოლო ექსპორტი წლიურად 26.2%-ით შემცირდა და 338.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

**საქონლის ექსპორტ-იმპორტისა და საგარეო ბალანსის დინამიკა**



წყარო: საქსტატი


**საგარეო ბალანსი ქვეყნების მიხედვით (იანვარი 2024)**




წყარო: საქსტატი

**იმპორტი - იანვარში საქონლის იმპორტი წლიურად 10.1%-ით შემცირდა. საქონლის იმპორტის კლება უმეტესად შუალედური სახის საქონლის იმპორტის შემცირებამ განაპირობა. სამომხმარებლო და საინვესტიციო საქონლის იმპორტმა კი ზომიერად დაიკლო.** შუალედური სახის საქონლის იმპორტის კლება უმეტესად რეექსპორტისთვის განკუთვნილი სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების მნიშვნელოვანმა შემცირებამ განაპირობა. გარდა ამისა, ნავთობპროდუქტებისა და ძვირფასი ლითონების მადნების იმპორტმა წლიურად დაიკლო. მეორე მხრივ, ნახშირბადიანი ფოლადის ნაგლინის, იმუნური შრატებისა და ტურბორეაქტიული ძრავების იმპორტმა მოიმატა. სამომხმარებლო სახის საქონლის კლებაში ყველაზე მეტი წვლილი მსუბუქი ავტომობილების შესყიდვების კლებამ შეიტანა, თუმცა ამავე ჯგუფში შემცირდა დანსაცმლის, სიგარეტები-სიგარილების, ასევე ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ჩვეულების იმპორტი. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად მსხვილი საიმპორტო ჯგუფის - მსუბუქი ავტომობილებისა და ნავთობპროდუქტების - იმპორტის წლიურად კლებისა, მათი მოცულობა მთლიან იმპორტში მნიშვნელოვან წილს იკავებს. საინვესტიციო საქონლის იმპორტის მატება უმეტესად საცვირთო ავტომობილების, ელექტროგენერატორული დანადგარების, სხვადასხვა ტიპის ამწეებისა და მძიმე ტექნიკის სამშენებლო მანქანების გაყიდვების ზრდამ განაპირობა. მთლიანობაში, იანვარში წლიურად საქონლის იმპორტმა რეალურად 13.5%-ით დაიკლო.

**საქონლის იმპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (წვლილი ზრდაზე)**



**საქონლის რეალური იმპორტი (წლიური ცვლილება)**



წყარო: საქსტატი

წყარო: საქსტატი

ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნებიდან იმპორტის კლებაში მატალი წვლილი შეიძლება იყოს რუსეთმა, რაც ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, ასევე ხორბლის ფქვილის და ქვანახშირის შემოტანის შემცირებას უკავშირდება. თუმცა, ამ ქვეყნიდან ნახშირბადიანი ფოლადის წნელების იმპორტმა წლიურად მოიმატა. სომხეთიდან იმპორტის კლება უმეტესად სპილენძის, ასევე ძვირფასი ლითონების მადნებისა და კონცენტრატების, უკრაინიდან მსუბუქი ავტომობილების, ხოლო აზერბაიჯანიდან ნავთობის აირების შემცირებულმა იმპორტმა განაპირობა. სხვა ქვეყნებიდან აღსანიშნავია აშშ-დან, იაპონიიდან და გერმანიიდან მსუბუქი ავტომობილების, ინდონეზიიდან და ჩილედან სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების, ხოლო საფრანგეთიდან სასმელების წარმოებაში გამოყენებული მინარევებისა და სამკურნალო საშუალებების მნიშვნელოვანი კლება. ამის საპირისპიროდ, ევროკავშირის ქვეყნებიდან იმპორტის მატების კუთხით გამოირჩეოდა იტალია - მსუბუქი ავტომობილებისა და ჰიდროტურბინების იმპორტის, ხოლო დანარჩენი ქვეყნებიდან თურქეთი - სამკურნალო საშუალებებისა და შერეული საქონლის, შვეიცარია - სამკურნალო საშუალებებისა და იმუნური პრეპარატების, ჩინეთი - გამომთვლელი მანქანებისა და მათი ბლოკების, ასევე სადვირთო ავტომობილების, შონკონგი - სატელეფონო აპარატებისა და რადიომუწყებლობის აპარატურის გაზრდილი შესყიდვების გამო. გარდა ამისა, ბულგარეთიდან კვლავ მატალი იყო ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, ხოლო კვიპროსიდან შერეული საქონლის ჯგუფის იმპორტი. აღნიშნულ თვეში, 7 ძირითად სავაჭრო პარტნიორზე მთლიანი იმპორტის 63% მოდიოდა. წინა წელთან შედარებით ქვეყნების მიხედვით იმპორტი უფრო ნაკლებად დივერსიფიცირებული იყო.


იანვარში იმპორტირებულ საქონელში მძიმე წილი მსუბუქ ავტომობილებს, ასევე ნავთობპროდუქტებსა და ნავთობაირებს (25%-იანი წილი მთლიან იმპორტში) ეჭირა. აღსანიშნავია, რომ იანვარში იმპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით წინა წლის იანვართან შედარებით უფრო მეტად დივერსიფიცირებული იყო.

**საქონლის იმპორტი პროდუქციის კატეგორიების მიხედვით (იანვარი 2024, მლნ აშშ დოლარი)**

მსუბუქი ავტომობილები, 101	ნავთობის აირები, 67	სამკურნალო საშუალებები, 60
ნავთობი და ნავთობპროდუქტები, 80	სადიეტური პროდუქტები, 34	შერეული საქონელი, 22
	ფოლადის ნახშირბადიანი წნელები, 24	სადვირთო ავტომობილები, 16
		ვაქცინები, იმუნური პროდუქტები, 13
		გამომთვლელი მანქანები, 12

წყარო: საქსტატი

**მყვანების წილი საქონლის იმპორტში (იანვარი 2024)**





წყარო: საქსტატი

ექსპორტი-იანვარში საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი წლიურად 26.2%-ით შემცირდა. საქონლის ექსპორტის კლება მეტწილად შუალედური სახის საქონლის ექსპორტის შემცირებამ განაპირობა, ხოლო სამომხმარებლო საქონლის ექსპორტმა მცირედით მოიმატა. შუალედური საქონლის ექსპორტის კლებაში მნიშვნელოვანი წვლილი (33.7 პპ) სპილენძის მადნებმა და კონცენტრატებმა შეიტანეს. გარდა ამისა, ადგილობრივი საქონლის ჯგუფებიდან აღსანიშნავია მინერალური და ქიმიური სასუქების ექსპორტის მნიშვნელოვანი კლება. იანვარში, წინა თვეებისაგან განსხვავებით, ფეროშენადნობების ექსპორტი მატალი იყო, თუმცა წლიურად მისი მოცულობა შემცირდა. ამის საპირისპიროდ, ძვირფასი ლითონების მადნებისა და კონცენტრატების ექსპორტმა მოიმატა. სამომხმარებლო სახის საქონლის ჯგუფში მსუბუქი ავტომობილების რექსპორტმა და ასევე ციფრუსის, მცენარი წყლებისა და სამკურნალო საშუალებების ექსპორტმა კვლავ მოიმატა, რამაც მთლიანი ექსპორტის უფრო მეტად კლება შეანელა. საინვესტიციო საქონლიდან 10 მგზავრზე მეტი გადამყვანი ავტომობილების, გამომთვლელი მანქანებისა და მათი ბლოკების, ასევე სხვა საფრენი აპარატების ექსპორტმა დაიკლო, ხოლო სადვირთო ავტომობილების ექსპორტმა მოიმატა. იანვარში საქონლის ექსპორტის მოცულობამ რეალურად 26.3%-ით დაიკლო.



**საქონლის ექსპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (წვლილი ზრდაში)**

**საქონლის რეალური ექსპორტი (წლიური ზრდა)**



წყარო: საქსტატი

წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშება


რეგიონის ქვეყნებიდან საექსპორტო შემოსავლების კლებაში მალალი წვლილი შეიძლება იყოს რუსეთში ექსპორტის შემცირებამ, რაც უმეტესად ფეროშენადნობების, ასევე მსუბუქი ავტომობილების გაყიდვების კლებაზე განაპირობა, თუმცა ციფრუსისა და ყურძნის ნაფურაღი ღვინოების ექსპორტი ზომიერად გაიზარდა. გარდა ამისა, სომხეთში 10 მგზავრზე მეტი გადაწყვიანი და ასევე მსუბუქი ავტომობილების, ხოლო აზერბაიჯანში კი უმეტესად მსუბუქი ავტომობილების ექსპორტი მნიშვნელოვნად შემცირდა. დანარჩენი ქვეყნებიდან აღსანიშნავია ჩინეთში, ესპანეთსა და ბულგარეთში სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების, პერუსა და დანიაში მინერალური და ქიმიური სასუქების, ლიეცუვაში გამომთვლელი მანქანებისა და მათი ბლოკების, გერმანიაში სხვა საფრენი აპარატების, თურქეთში თხილი-კაკლისა და შერეული საქონლის გაყიდვების კლება. ამის საპირისპიროდ, რეგიონის სხვა ქვეყნებში ექსპორტი გაიზარდა. **კერძოდ, ყირგიზეთთან და ყაზახეთთან მსუბუქი ავტომობილების მალალი რექსპორტის გამო, ამ ქვეყნებთან საგარეო ვაჭრობის ბალანსი იანვარში, ისევე როგორც გასული წლის მანძილზე, დადებითი იყო.** აღსანიშნავია ასევე, რომ ბოლოდროინდელი თვეების მსგავსად, უზბეკეთში სამკურნალო საშუალებების ექსპორტი გაიზარდა. ამავდროულად, საბერძნეთში ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, რუმინეთში მინერალური და ქიმიური სასუქების, ხოლო უკრაინაში მსუბუქი ავტომობილების ექსპორტი გაიზარდა. აღნიშნულ თვეში, 7 ძირითად სავაჭრო პარტნიორზე მთლიანი ექსპორტის 74% მოდიოდა. წინა წელთან შედარებით ქვეყნების მიხედვით ექსპორტი უფრო ნაკლებად დივერსიფიცირებული იყო.

იანვარში საქონლის ექსპორტის უდიდესი წილი მსუბუქ ავტომობილებს (33%-იანი წილი მთლიან ექსპორტში) ეჭირა. წილობრივად ასევე მალალი იყო ფეროშენადნობების, ყურძნის ნაფურაღი ღვინოების, ძვირფასი ლითონების მადნებისა და სპირტიანი სასმელების ექსპორტი. საქონლის ექსპორტის ზრდაში ყველაზე დიდი წვლილი (2.6 კპ მთლიან ცვლილებაში) ძვირფასი ლითონების მადნებისა და კონცენტრატების ექსპორტმა შეიძინა, რომელიც წლიურად 7-ჯერ გაიზარდა. წინა თვეებისაგან განსხვავებით, მსუბუქი ავტომობილების ექსპორტი მცირედით იყო მომატებული. გარდა ამისა, ექსპორტის მოცულობაზე დანსაცმელზე, საცვიროთ ავტომობილებსა და სხვადასხვა სანელებლებზე საგარეო მოთხოვნის არსებითი მატება დადებითად აისახა. ამის საპირისპიროდ, ჯამურად სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების, ფეროშენადნობების, 10 მგზავრზე მეტი გადაწყვიანი ავტომობილების, მინერალური და ქიმიური სასუქების, სიგარეტები-სიგარიტების, შერეული საქონლისა და გამომთვლელი მანქანებისა და მათი ბლოკების ექსპორტი შემცირებულია. წინა წელთან შედარებით სასაქონლო ჯგუფების მიხედვით ექსპორტი უფრო ნაკლებად დივერსიფიცირებული იყო.

**საქონლის ექსპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (იანვარი 2024, მლნ აშშ დოლარი)**

**ქვეყნების წილი საქონლის ექსპორტში (იანვარი 2024)**

მსუბუქი ავტომობილები, 112	ფეროშენადნობები, 19	ყურძნის ღვინოები, 18
	ძვირფასი ლითონების მადნები, 14	მინერალური და მტკარი წყლები, 9
	სპირტიანი სასმელები, 13	ავტოტვირთვალი სასუქები, 8
	ციფრულ სუბი, 8	ნავთობი და ნავთობპროდუქტები, 8
		სამკურნალო საშუალებები, 7




წყარო: საქსტატი

წყარო: საქსტატი

**ფულადი გზავნილები** - იანვარში საქართველოში გადმორიცხული თანხების მოცულობამ წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით 40.8%-ით დაიკლო და 263.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო საქართველოდან გადარიცხული თანხების მოცულობა 1.5%-ით, 25.9 მლნ აშშ დოლარამდე, შემცირდა.


**წლიურად ფულადი გზავნილების შემცირებას საბაზო ეფექტი და რუსეთიდან ფულადი გზავნილების კლება განაპირობებს.** იანვარში, რუსეთიდან ფულადი გადმორიცხვები წლიურად 75%-ით, 68 მლნ აშშ დოლარამდე, შემცირდა. თუმცა, მალალი ტემპით ზრდას განაგრძობს აშშ-დან გადმორიცხული ფულადი სახსრები (32.9%-ით). ასევე, რეგიონის ქვეყნებიდან, ყაზახეთიდან გადმორიცხული ფულადი სახსრები ზომიერად (7.4%-იანი ზრდა) გაიზარდა. გარდა ამისა, ისრაელიდან გადმორიცხული ფულადი გზავნილები კვლავ ზრდადია (4.7%-იანი მატება). **კვლავ მნიშვნელოვანი წვლილი აქვს ევროკავშირის ქვეყნებიდან, იტალიიდან და გერმანიიდან გადმორიცხული ფულადი გზავნილების ზრდას.** იანვარში, რეგიონის ქვეყნებიდან, ყირგიზეთიდან და აზერბაიჯანიდან გადმორიცხულმა თანხებმა დაიკლო, შესაბამისად 39.8%-ით და 2.9%-ით. აღსანიშნავია, უკრაინიდან გადმორიცხული ფულადი გზავნილები წინა წლის მინიმალურ დონესთან შედარებით გაზრდილია. **იანვარში, ფულადი გზავნილების ძირითად წყაროს ევროკავშირის ქვეყნები (39.2%), რუსეთი (25.7%) და აშშ (14.4%) წარმოადგენდა.** ევროკავშირის ქვეყნებიდან აღსანიშნავია იტალიის, საბერძნეთისა და გერმანიის მალალი წილი მთლიან ფულად გზავნილებში.

**ქვეყნების წილი სწრაფ ფულად გზავნილებაში (იანვარი 2024)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**ფულადი გზავნილების ზრდა (წვლილი ზრდაში ქვეყნების მიხედვით)**




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

# სავალუტო ბაზარი


იანვარში, წინა თვესთან შედარებით, ლარის საშუალო გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2.6861-დან 2.6752-მდე (0.4%-ით), ხოლო ევროს მიმართ - 2.9331-დან 2.9215-მდე (0.4%-ით) გამყარდა. თვის ბოლოს ლარის ოფიციალურმა გაცვლითმა კურსმა აშშ დოლარისა და ევროს მიმართ 2.6827 და 2.9080 შეადგინა. იანვარში ლარი-დოლარის გაცვლითი კურსის მაქსიმალური მნიშვნელობა 2.6894 იყო, მინიმალური კი - 2.6573.

## ლარის ნომინალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარისა და ევროს მიმართ



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

## ლარი/დოლარის გაცვლითი კურსის ყოველთვიური მერყეობის დიაპაზონი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

იანვარში, საშუალო კურსთან შედარებით, გაცვლითი კურსის მინიმალური და მაქსიმალური მნიშვნელობები დაახლოებით თანაბრად იყო გადახრილი.

იანვარში, საშუალოდ, დოლართან მიმართებაში შესამჩნევია რუბლისა და ლარის გამყარება, გაუფასურებას განაგრძობს თურქული ლირა და სომხური დრამი, ხოლო აზერბაიჯანული მანათი და ევრო პრაქტიკულად არ შეცვლილა.

## თვის განმავლობაში საშუალო კურსიდან გადახრა (ლარი/დოლარი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

## ძირითადი სავაჭრო პარტნიორების საშუალო თვიური გაცვლითი კურსების ცვლილება დოლართან მიმართებით (იანვარი 2024; ზრდა=გაუფასურება)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ლარის ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსები წლიურად გამყარებას განაგრძობს. წლიურად, იანვარში ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი - 1.9%-ით, ხოლო ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი 14.7%-ით გამყარდა. რაც შეეხება თვის ცენდენციას, წინა თვესთან შედარებით, იანვარში ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი მცირედით 0.3%-ით გაუფასურდა, ხოლო ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი 0.8%-ით გამყარდა.

ეფექტური კურსის გამყარება ქვეყნის კონკურენტუნარიანობაზე უარყოფითად აისახება, თუმცა იმპორტირებულ ინფლაციას ამცირებს.


სავაჭრო პარტნიორთაგან იანვარში წლიური ინფლაცია თურქეთში, რუსეთში, ბელარუსში, უკრაინაში, აშშ-ში, ევროზონასა და აზერბაიჯანში საქართველოზე მაღალი იყო, ხოლო სომხეთში - დაბალი. ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნებიდან ნაწილში ინფლაციის კლების ცენდენცია შეინიშნება, თუმცა მთლიანობაში ფასების დონე ჯერ ისევ მაღალ დონეზე ნარჩუნდება.

**ლარის ნომინალური და რეალური ეფექტური  
გაცვლითი კურსის ინდექსები (იანვ 2020=100)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**საპაჭრო პარცნიორი ქვეყნების ინფლაციები  
(იანვარი 2024)**




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**სავალუტო ბაზრის ტენდენციები**


იანვარში ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე მონაწილეობდა 14 ბანკი და 6<sup>1</sup> არასაბანკო ორგანიზაცია. სავალუტო ბაზრის მაჩვენებლების მიხედვით თვეურად ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი მცირედით შემცირებულია. ჰერფინდალ-ჰირშმანის (HH) ინდექსი დაბალ დონეზე ნარჩუნდება, რაც სავალუტო ბაზრის კონკურენტუნარიანობაზე მიუთითებს.

**ბანკთაშორის სავალუტო ბაზრის  
მთლიანი საპაჭრო ბრუნვა**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**ბანკთაშორის სავალუტო ბაზრის კონცენტრაციის  
მაჩვენებლები 5 ყველაზე აქტიური ორგანიზაციის წილებს  
მიხედვით**




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

იანვარში ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე ვაჭრობის მოცულობა შემცირდა. აღნიშნულ თვეში აშშ დოლარი/ლარის ვაჭრობის მთლიანმა ბრუნვამ 96.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა თვესთან შედარებით 40.1 მლნ აშშ დოლარით ნაკლებია, წინა წლის იანვართან შედარებით კი - 167.3 მლნ აშშ დოლარით ნაკლები. ამავდროულად, ბაზრის მონაწილეებს შორის დადებული გარიგებების რაოდენობა წინა თვესთან შედარებით 27.1%-ით, ხოლო წლიურად 38.4%-ით შემცირდა.


იანვარში სავალუტო ბაზარზე ყიდვა-გაყიდვების აქტივობები თითქმის მთლიანად სპოტ<sup>2</sup> გარიგებებით ხდებოდა (99.0%) და 2,433.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წლიურად 705.6 მლნ აშშ დოლარითაა შემცირებული (ხოლო თვეურად კი - 713.8 მლნ აშშ დოლარით). სპოტ გარიგებების ძირითადი ნაწილი იურიდიულ პირებსა და შინამეურნეობებზე, დანარჩენი კი არარეზიდენტ ბანკებზე მოდიოდა. საქართველოს ეროვნული ბანკის წილი მთლიან ვაჭრობაში 0.3% იყო. წესებზე დაფუძნებული ორმხრივი ინტერვენციების მექანიზმის გამოყენებით თვის განმავლობაში ეროვნული ბანკის წმინდა შესყიდვამ 8.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

1 რომლებიც მონაწილეობენ ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე დადებულ გარიგებებში.  
2 სპოტ გარიგება ხდება იმავდროული ვალუტირებით, იმ დროისთვის არსებული კურსით.

**საბ-ის მონაწილეობა სავალუტო ბაზარზე**



**საოტ პარიგებებით უცხოური ვალუტით ვაჭრობა**




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**იანვარში საოტ გარიგებებით კომერციული ბანკებისგან დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ წლიურად უცხოურ ვალუტაზე როგორც მოთხოვნა, ასევე მიწოდება შემცირებულია.** საერთო ჯამში, იანვარში საოტ გარიგებებით კომერციული ბანკებისგან დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნა წლიურად 360.2 მლნ აშშ დოლარით შემცირდა (თვიურად კი - 344.9 მლნ აშშ დოლარით) და 1,270.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ხოლო მიწოდება წლიურად 345.4 მლნ აშშ დოლარით შემცირდა (თვიურად კი - 368.9 მლნ აშშ დოლარით) და 1,162.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. საოტ გარიგებებით როგორც ვალუტის შეძენაში, ასევე ვალუტის გაყიდვაში ყველაზე დიდი წილი იურიდიულ პირებსა და შინამეურნეობებზე მოდიოდა.


იანვარში სავალუტო ფორვარდ<sup>3</sup> გარიგებებით კომერციულ ბანკებსა და სხვა ეკონომიკურ აგენტებს შორის უცხოური ვალუტით ვაჭრობა წლიურად 9.0 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა (ხოლო თვიურად 15.8 მლნ აშშ დოლარით შემცირდა) და 25.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ფორვარდ გარიგებებით ვაჭრობის ძირითადი ნაწილი არარეზიდენტ ბანკებსა და იურიდიულ პირებზე მოდიოდა. ფორვარდ გარიგებებით დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ ბანკებისგან უცხოური ვალუტის წმინდა შესყიდვამ 2.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

**ბანკთაშორისი საოტ პარიგებებით შექმნილი და გაყიდული უცხოური ვალუტა**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**ფორვარდ პარიგებებით უცხოური ვალუტით ვაჭრობა**





წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

იანვარში, წინა თვესთან შედარებით, ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები 156.4 მლნ აშშ დოლარით შემცირდა, რეზერვების მთლიანმა მოცულობამ კი 4.9 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. რეზერვების მოცულობის კლების ძირითადი მიზეზი მთავრობის სავალუტო ხარჯები, მათ შორის სესხის მომსახურებაა.

3 სავალუტო ფორვარდული კონტრაქტი არის ფართოდ მოხმარებადი ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება სავალუტო რისკების ჰეჯირებისათვის (დაზღვევისათვის). ფორვარდი იძლევა შესაძლებლობას, წინასწარ განსაზღვრული კურსით, დღეს დაიდოს სავალუტო გარიგება ხოლო შესაბამისი ანგარიშსწორება განხორციელდეს მომავალში.



**ეროვნული ბანკის ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები მთლიანი საერთაშორისო რეზერვების თვიური ცვლილება (მიმდინარე კურსით)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

## ფულადი ბაზარი

იანვარში სადეპოზიტო სერტიფიკატების ერთი აუქციონი ჩატარდა და 20 მლნ ლარის ღირებულის სამთვიანი სადეპოზიტო სერტიფიკატი გაიყიდა. ამავე პერიოდში 20 მლნ ლარის ერთი სადეპოზიტო სერტიფიკატი დაიფარა. შესაბამისად წინა თვესთან შედარებით, სადეპოზიტო სერტიფიკატების ნაშთი არ შეცვლილა და დეკემბრის ბოლოს 60 მლნ ლარი შეადგინა.


იანვარში სახაზინო ფასიანი ქაღალდების ექვსი აუქციონი ჩატარდა. აღნიშნულ აუქციონებზე ჯამში 345.0 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები განთავსდა. იანვარში ჩატარებულ აუქციონებზე გაიყიდა 6-თვიანი, ერთწლიანი, ორწლიანი, ხუთწლიანი და ორი ათწლიანი ვადიანობების სახაზინო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც, შესაბამისად, 70, 20, 50, 100 და 105 მლნ ლარის ოდენობით განთავსდა. დაფარვების გათვალისწინებით, **სახაზინო ფასიანი ქაღალდების ნაშთი წინა თვესთან შედარებით 159.1 მლნ ლარით შემცირდა და 7,979.0 მლნ ლარი შეადგინა. მთლიანი პორტფელის 61.0%-ს კომერციული ბანკების, 25.1%-ს ეროვნული ბანკის, 11.0%-ს რეზიდენტების, ხოლო 2.9%-ს არარეზიდენტების მფლობელობაში არსებული სახაზინო ფასიანი ქაღალდები შეადგენს.**

### სადეპოზიტო სერტიფიკატების მოცულობა (ნაპალი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


### სახაზინო ფასიანი ქაღალდების მოცულობა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


იანვარში სადეპოზიტო სერტიფიკატების **საპროცენტო განაკვეთი შემცირდა, ასევე შემცირდა სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთებიც.** კერძოდ, იანვარში, წინა თვესთან შედარებით, სადეპოზიტო სერტიფიკატებზე საშუალო შენონილი საპროცენტო განაკვეთი 0.18 პპ-ით, 8.82%-მდე, შემცირდა. რაც შეეხება სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთებს, ექვსთვიანი და ერთწლიანი სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთები 0.12 და 0.16 პპ-ით შემცირდა, შესაბამისად 8.95% და 8.86%-ს შეადგენდა. სახაზინო ორწლიანი, ხუთწლიანი და ათწლიანი სახაზინო ობლიგაციების საშუალო შენონილი საპროცენტო განაკვეთები შემცირდა 0.1, 0.02 და 0.08 პპ-ით, და შესაბამისად 8.29%, 8.35% და 8.32% შეადგინა.

**ფულადი ბაზრის საპროცენტო განაკვეთები**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**ლარის შამოსავლიანობის გრუდი**




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

იანვარში ბანკთაშორის ფულადი ბაზრის მოცულობა, თვიურად 356.0 მლნ ლარით გაიზარდა, (წლიურად 68.6 მლნ ლარით) 13,350.7 მლნ ლარამდე გაიზარდა. რაც მეცნილად უცხოური ვალუდის რესურსით არის განპირობებული. ბანკთაშორის ფულადი ბაზრის დიდი წილი, უცხოური ვალუდის ბრუნვაზე მოდის (82.6%), რომლის მოცულობაც თვიურად 1,434.0 მლნ ლარით (15.0%-ით) გაიზარდა. ლარის რესურსის ბრუნვის მოცულობა კი, თვიურად 1,078.0 მლნ ლარით (31.7%-ით) შემცირდა.

რაც შეეხება საპროცენტო განაკვეთებს, ბანკთაშორის ბაზარზე ლარის ვალუდის რესურსზე საშუალო შენონილი საპროცენტო განაკვეთი წინა თვესთან შედარებით 0.3 პპ-ით შემცირდა და 9.42% შეადგინა, ხოლო უცხოური ვალუდის რესურსზე საშუალო შენონილი საპროცენტო განაკვეთი 0.3 პპ-ით გაიზარდა და 3.21% შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ იანვარში ფულადი ბაზრის რესურსის 32.9% ერთ თვემდე ვადიანობის დეპოზიტებზე, ხოლო 66.5% კი მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულ რესურსზე მოდიოდა.

**ბანკთაშორის ფულადი ბაზარი**




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**მონეტარული აბრეგატები**

იანვარში, წინა თვესთან შედარებით, სარეზერვო ფულის მოცულობა 1,125.5 მლნ ლარით (14.6%) შემცირდა და პერიოდის ბოლოსთვის 6.6 მლრდ ლარი შეადგინა. მონეტარული ბაზა საშუალო მაჩვენებლის მიხედვით წინა თვესთან შედარებით, 304.5 მლნ ლარით (4.6%-ით) გაიზარდა.


საბანკო სისტემაში შიდა სამთავრობო კონვერტაციებით, ეროვნული ბანკის წმინდა სავალუტო გაყიდვებმა 104.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. სავალუტო ინტერვენციებში ეროვნულ ბანკს მონაწილეობა არ განუხორციელებია. BMatch პლატფორმის წესებზე დაფუძნებული მექანიზმის გამოყენებით ეროვნული ბანკის წმინდა შესყიდვებმა დეკემბრის განმავლობაში 8.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. მთლიანობაში შიდა სამთავრობო კონვერტაციებით, სავალუტო ინტერვენციებით და BMatch მექანიზმით, წმინდა უცხოური აქციები დაახლოებით 96.4 მლნ აშშ დოლარით შემცირდა. იანვარში მთავრობის დეპოზიტებზე არსებული სახსრები 1,318.9 მლნ ლარით შემცირდა და მისი მოცულობა პერიოდის ბოლოსთვის 1,126.9 მლნ ლარს გაუცოლდა.

**სარეზერვო ფულის თვიური ცვლილება კომპონენტების მიხედვით**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**ფულადი აგრეგატები**




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

იანვარში ნაღდ ფულზე მოთხოვნა 413.4 მლნ ლარით შემცირდა. რეფინანსირების სესხები წინა თვესთან შედარებით 905.0 მლნ ლარით შემცირდა. ერთდღიანი სესხის ნაშთი 730.0 მლნ ლარით შემცირდა. იანვარში, განთავსდა და დაიფარა 20 მლნ ლარის ნომინალური მოცულობის სადეპოზიტო სერთიფიკატები. მეორად ბაზარზე სახაზინო ფასიანი ქაღალდების შესყიდვა არ ყოფილა. მთლიანობაში, იანვარში ბანკების წმინდა დავალიანების მოცულობა 1,635.1 მლნ ლარით შემცირდა და პერიოდის ბოლოსთვის, 2,040.7 მლნ ლარს გაუცოლდა.


იანვარში ფართო ფულის (M3) მოცულობა თვიურად 961.9 მლნ ლარით შემცირდა, როგორც ეროვნული ვალუტის დეპოზიტების კლების, ასევე უცხოური ვალუტის დეპოზიტების კლებით გავლენით. რაც შეეხება M2 აგრეგატს, მისი მოცულობა 516.0 მლნ ლარით შემცირდა.

**საბანკო საქმეების ლიკვიდობაზე მოქმედი ფაქტორები**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**მონეტარული ოპერაციები**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საქართველოს ეროვნული ბანკი 0114, ზვიად გამსახურდიას სანაპირო N1  
ტელ: 240 64 88; ფაქსი: 240 65 77; ტელეფონური ხაზი: 240 64 06  
ელ ფოსტა: info@nbg.ge; www.nbg.ge

